

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • მისცეს სტუდენტს ფართო განათლება ზუსტ, საბუნებისმეტყველო, ზოგად საინჟინრო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. • შეასწავლოს სტუდენტს ნავთობისა და გაზის გეოლოგია და მარაგების გამოთვლის მეთოდები; ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვის, მოპოვების, შეკრების, ტრანსპორტირების, შენახვის და გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები; ტექნოლოგიური და კონსტრუქციული დაპროექტების მეთოდები; მექანიკის საფუძვლები, სითხის წონასწორობისა და მოძრაობის კანონზომიერებები; ნავთობის გადამუშავების დროს მიმდინარე ქიმიური პროცესები; ხარისხის კონტროლისა და სერტიფიცირების მეთოდები; საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის, მოდელირების კომპიუტერული სისტემების მეთოდები; გარემოს დაბინძურების მიზეზები და მისი აღმკვეთი ღონისძიებები; ნავთობისა და გაზის სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო და მილსადენური ტრანსპორტის საშუალებები; შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა. • მოამზადოს პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
სწავლის შედეგები	<ol style="list-style-type: none"> 1. აღწერს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების როლს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ნედლეულისა და მიღებული პროდუქტების ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავებისას გამოყენებული მასალების დანიშნულებას, გარემოს დაცვით და შრომის უსაფრთხოების ნორმებს. 2. განიხილავს ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების პროცესების ძირითად ტექნოლოგიებს და გამოყენებული აპარატურა-დანადგარების ტიპებს. 3. ანგარიშობს ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების პროცესების შესაბამის ტექნოლოგიურ პარამეტრებს, მოწყობილობა-დანადგარების მახასიათებლებს და კონსტრუქციულ ელემენტებს. 4. აკეთებს დასკვნას ნავთობისა და გაზისა მოპოვების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიური მოწყობილობების გამართული ფუნქციონირების, ნედლეულისა და მიღებული პროდუქტის ხარისხის შესახებ. 5. არჩევს ნავთობისა და გაზის მოპოვების, დამუშავებისა და გადატვირთვის ტექნოლოგიურ სქემებს, მოწყობილობა-დანადგარებს, მათ განლაგებას. 6. აქვს კომუნიკაციის უნარი სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირად, წერილობით, კომპიუტერული და სხვა საშუალებების გამოყენებით. 7. საკუთარ საქმიანობაში მოქმედებს ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვით, ითავისებს ინჟინრის პროფესიულ ღირებულებებს,

	<p>საზოგადოების უსაფრთხოების გათვალისწინებით. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვალიფიკაციის ამაღლების და შემდგომი განათლების პროცესს.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირები</p>	<p>ზურაბ მეგრელიშვილი, პროფესორი ტელ: +995 593 30 59 74 ლ-ფოსტა: zurab.megrelishvili@bsu.edu.ge</p> <p>დავით ჩხაიძე, ასოცირებული პროფესორი ტელ: +995 555 31 47 03 ელ-ფოსტა: davit.chkhaidze@bsu.edu.ge</p>